MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა

2016 წლის ანგარიში

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia

DCFTA-ის განხორციელების კოორდინაცია

2016 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, DCFTA-ის დანერგვის პროცესის კოორდინაციის ფარგლებში, გამართა უწყებათშორისი ქვეკომისიის მეხუთე (29 ივნისი) და მეექვსე (11 ნოემბერი) სხდომა. შეხვედრებზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს DCFTA-ის განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა და DCFTA/SME საბიუჯეტო დახმარების მატრიცით მიმდინარე წელს აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხი.

2016 წლის დეკემბერში, ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო), გაიმართა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა, რომელზეც DCFTA-ის დანერგვის პროცესი განიხილეს. ევროკომისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს პროგრესი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის 1-1/712 ბრძანებით, დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა DCFTA-ის შესრულების 2015 წლის ანგარიში, რომელიც ბროშურის სახით გამოიცა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით. შესრულების ანგარიში გადაეცა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, სახელმწიფო უწყებებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

DCFTA-ის განხორციელებაში საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2016 წლის 31 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი. საკონსულტაციო ჯგუფი არის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბიზნესის, არასამთავრობო სექტორისა და პროფკავშირების წარმომადგენლები. საკონსულტაციო ჯგუფის სხდომებზე განიხილება DCFTA-ის იმპლემენტაციის მიზნით დაგეგმილი და უკვე განხორციელებული რეფორმები. 2016 წლის განმავლობაში ჯგუფის 3 შეხვედრა გაიმართა. ჯგუფის გაფართოებულ (მესამე) შეხვედრაზე (2,11,2016), ჯგუფის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა განიხილეს ასოცირების დღის წესრიგის პროექტი 2017-2020 წლებისთვის და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

საქონლით ვაჭრობა, მეწარმეობისა და ექსპორტის ხელშეწყობა

მეწარმეობის ხელშეწყობა

2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, დამატებით 70 საწარმოს თანადაფინანსებაში მიიღო მონაწილეობა. შედაგად, შეიქმნა 2,364 ახალი სამუშაო ადგილი. 70 ახალი პროექტის სესხების ჯამური მოცულობა - 72.4 მლნ ლარია, ხოლო ჯამური ინვესტიცია - 129 6 მლნ ლარი.

2016 წლის მონაცემებით, სააგენტომ DCFTA-სთან დაკავშირებით 220-ზე მეტ ბენეფიციარს გაუწია კონსულტაცია.

ექსპორტის ხელშეწყობა

2016 წლის იანვრიდან ვებ-გვერდი www.tradewithgeorgia.com

სრულყოფილად ფუნქციონირებს. ამ ეტაპისთვის 200-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ საექსპორტოდ დაარეგისტრირა წარმოებული პროდუქტი და მომსახურება.

2016 წლის იანვრიდან ამუშავდა EEN-ის ვებ-გვერდი www.een-georgia.ge ამავდროულად, ფუნქციონირება დაიწყო facebook-ის გვერდმა **„Enterpirse Europe Network Georgia”.** აღნიშნული ვებ-გვერდების ქსელში გაშვების შემდეგ უკვე 85-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ მიიღო ინფორმაცია შესაძლო ბიზნესპარტნიორებისა და მათი შემოთავაზებების შესახებ. 2016 წლის დეკემბერში გაიმართა ღონისძიება „მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის არსებული შესაძლებლობები EEN-ისა და H2020-ის ფარგლებში”. ღონისძიება, რომელშიც 50-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, მიზნად ისახავდა EEN-ის და H2020-ის პოპულარიზაციას.

ამჟამად „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ მუშაობს ქართული კომპანიების მხრიდან ბიზნესწინადადებებისა და მოთხოვნების ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN) ინტერნეტში დარეგისტრირებაზე.

4-6 ოქტომბერს, ბარსელონაში, გაიმართა საერთაშორისო სავაჭრო გამოფენა CPHI 2016, რომელშიც ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელი 3 კომპანია იღებდა მონაწილეობას. ასევე, 2016 წლის 16-20 ოქტომბერს საერთაშორისო საკვები და სასმელი პროდუქტების გამოფენაში CIAL Paris 2016 მონაწილეობდა 11 ქართული კომპანია. 2016 წლის 28 ნოემბრიდან პირველი დეკემბრის ჩათვლით ლატვიასა და პოლონეთში შედგა სავაჭრო მისია, 8 ქართული კომპანიის მონაწილეობით.

გაუმჯობესდა საგარეო ვაჭრობის, სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა. 2016 წლის იანვრიდან, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები ვრცელდება არა მხოლოდ სტანდარტული ფორმატით, არამედ ფართო ეკონომიკური კატეგორიებისა (BEC) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მიხედვითაც.

ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა

საკანონმდებლო დაახლოების კუთხით, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ქართულად ითარგმნა ორი ევროპული დირექტივა:

- ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 94/9/EC პოტენციურად ფეთქებადი, ატმოსფეროში

გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ;

- ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 1999/5/EC რადიო დანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების და მათი შესაბამისობის ორმხრივი აღიარების შესახებ.

ასევე მომზადდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პირველადი ვერსიები.

ტექნიკური რეგლამენტების მიღება იგეგმება 2018 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

სტანდარტები და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო და რეგიონული/ევროპული სტანდარტების, ეროვნულ სტანდარტებად დამკვიდრებას. 2016 წელს მიიღეს 2190-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს სტანდარტად აღიარებულია 10000-მდე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის, ეტალონური ბაზის განვითარების მიზნით, მიმდინარეობს ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის II ფაზა - „ეროვნული ეტალონების ბაზის განვითარებისთვის გაზომვის საშუალებების შეძენა". პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის მონაცემებით, უკვე მიღებულია აღჭურვილობა შემდეგი ლაბორატორიებისთვის: რადიაციული მეტროლოგია, მცირე მოცულობები, ძალა, წნევა, აკუსტიკური გაზომვები, ტემპერატურა, ელექტრობა, ტენიანობა, რადიო-ფიზიკური გაზომვები, დრო და სიხშირე, გეომეტრიული გაზომვები, ოპტიკა, მასა. ე.წ. მობილური ლაბორატორია სპეციალურად მოწყობილი სატვირთო ავტომანქანაა, რომელიც ლაბორატორიაში დიდი წონის საწონების და სასწორის განთავსების ადგილზე მაღალი წონადობის სასწორების დაკალიბრების საშუალებას იძლევა.

ასევე, სააგენტოს მიერ CIB პროექტის თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად შეძენილია აღჭურვილობა, ეტალონური განყოფილებების ლაბორატორიებისთვის. აღჭურვის პროცესი 2017 წელსაც გაგრძელდება.

CIB (ბიზნესის სერტიფიცირების) პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 9001:2015, ძირითადი პრინციპების დანერგვის მიზნით, შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, დეპარტამენტის ფუნქციებისა და სტრუქტურის გათვალისწინებით შეიმუშავა ხარისხის მენეჯმენტის სისტემასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტისა და პროცედურების პროექტები. სტანდარტის პრინციპების სრულად დანერგვა იგეგმება 2017 წლის ბოლომდე. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის (,,საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად") ფარგლებში, 2016 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მეწარმეებისთვის, ლაბორატორიებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა სემინარები:

10 მარტს - თელავში,

10 ივნისს - ფოთში,

22 სექტემბერს - ახალციხეში,

11 ნოემბერს - ქუთაისში

15 დეკემბერს - ბოლნისში.

სემინარები გაშუქდა, როგორც ადგილობრივ პრესასა და მედია საშუალებებში, ასევე სააგენტოს ვებ-გვერდზე. სემინარებში სულ 210-მა მეწარმემ მიიღო მონაწილეობა.

აკრედიტაცია

2016 წელს გაიმართა აკრედიტაციის საბჭოს ორი სხდომა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. სხდომებზე განიხილეს სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: EA-ს მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის წინასწარი შეფასების შედეგები; აკრედიტაციის ცენტრში ევროპის CIB პროექტის მიმდინარეობა და EA-ს მიერ აკრედიტაციის ცენტრის დაგეგმილი კოლეგიალური შეფასება.

EA-ს (აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა) მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტაციის ცენტრმა მთლიანად დანერგა აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტები (სსტ ისო/იეკ 17025; სსტ ისო/იეკ 17020, სსტ ისო/იეკ 17065; სსტ ისო/იეკ 17021; სსტ ისო 15189; სსტ ისო/იეკ 17024; სსტ ისო/იეკ 17043) აკრედიტაციის სფეროში.

2016 წლის განმავლობაში აკრედიტაციის ცენტრმა დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ლაბორატორიებისა და საინსპექციო ორგანოების წარმომადგენლებს, ჩაუტარა ტრენინგები შემდეგ საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით: ISO/IEC 17020; ISO/IEC 15189; ISO/IEC 17065; ISO/IEC 17043. ტრენინგები, ასევე, ჩატარდა რეფერენტული ლაბორატორიებისა და სასურსათო პროდუქტის ნიმუშის აღების თემაზე. თითოეულ, მათგანს საშუალოდ, 20 მონაწილე ესწრებოდა.

2016 წლის ნოემბერში EA-ს (European Accreditation) შემფასებლებმა დადებითად შეაფასეს აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა. დადებითად შეფასდა ცენტრის მიერ აკრედიტაციის სქემებში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენების ხარისხი და აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლების კვალიფიკაცია. 2017 წელს იგეგმება EA-სთან ორმხრივი აღიარების შეთანხმების გაფორმება, რაც საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტების (სერტიფიკატები და ლაბორატორიული გამოცდის ოქმები) საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს. ეს ნაბიჯი ქართულ პროდუქციას შეუმცირებს ტექნიკურ ბარიერებს საერთაშორისო ბაზრებზე და ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

2016 წლის განმავლობაში ჩატარდა 12 ტრენინგი, რომლებსაც 240-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს ლაბორატორების, სერტიფიკაციისა და ინსპექტირების ორგანოების წარმომადგენლებმა.

ბაზარზე ზედამხედველობა

სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2015 წელს დამტკიცებული, ინსტიტუციური რეფორმის გეგმის შესაბამისად, ჩატარდა 2016 წლისთვის დაგეგმილი ყველა ღონისძიება. თითოეული მათგანის მიზანი იყო სააგენტოს ინსტიტუციური გაძლიერება საკანონმდებლო საფუძვლებისა და ადამიანური რესურსების კუთხით.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტების რეკომენდაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის შესაბამისად, მომზადდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებების პროექტი. მისი მიზანია, საქართველოში სამრეწველო პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის კუთხით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება. მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N641, 30,12,2016) დამტკიცდა სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა მოიცავს 2017-2022 წლებში სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებებს.

ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის გაუმჯობესებისა და მომავალში ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებისთვის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურს შორის.

2016 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ბრიტანელმა და ლიტველმა ექსპერტებმა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარეს ტრენინგები საქართველოს კანონმდებლობასთან დაახლოებული ხუთი ახალი მიდგომის დირექტივების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით. (ლიფტები, საბაგირო მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მოწყობილობები, წნევაზე მომუშავე მარტივი ჭურჭლები, ცხელი წყლის ბოილერები). ექსპერტებმა, ასევე, ისაუბრეს თემაზე: „ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს განვითარება ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ (ბაზარზე ზედამხედველობის ევროპული მოდელის აღწერა). პროექტი მოიცავდა ტრენინგებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებითაც, როგორიც არის: ევროდირექტივა სამშენებლო პროდუქტების შესახებ და სამომხმარებლო პროდუქტების, კერძოდ, სათამაშოებისა და ელექტრომოწყობილობების ინსპექტირება.

პროექტის ფარგლებში მოეწყო 2 სასწავლო ვიზიტი ლიტვასა და დიდ ბრიტანეთში. ამ ქვეყნების ბაზრების მაგალითზე ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს თანამშრომლებმა შეისწავლეს ზედამხედველობის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სისტემები, ინსპექტირების მეთოდები, პროცედურები, შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები (მათ შორის სანქციონირების საკითხები), ლაბორატორიული კვლევის მეთოდები, საბაჟო ორგანოს ფუნქციები და მათი ჩართულობა ბაზრის ზედამხედველობის სისტემაში, მონაცემთა ბაზები RAPEX, TARIC და ICSMS. თანამშრომლებმა დაათვალიერეს საგამოცდო ლაბორატორიები და მათი ტექნიკური აღჭურვილობა.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

საკანონმდებლო საქმიანობა

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებისთვის გადაიხედა და ევროკავშირის 25 საკანონმდებლო აქტთან შესაბამისობაში მოვიდა ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი:

ვეტერინარია

- „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის N548 დადგენილება;

- „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის 348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2016 წლის 27 დეკემბრის N597 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის ღორის კლასიკური ჭირის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის 498 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის ღორის აფრიკული ჭირის (ცხელების) დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის 496 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის - ფრინველის გრიპის დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N637 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის N600 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტის თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N636 დადგენილება;

ფიტოსანიტარია

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N302 დადგენილება „კარტოფილის ცისტიანი ნემატოდების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“.

- „მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ და დისტრიბუტორ ბიზნეს ოპერატორთა ვალდებულებებისა და მათი აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის N619 დადგენილება.

სურსათის უვნებლობა

- „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის 301 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;

- „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერების (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების გამოკვლევისათვის ანალიზის მეთოდების განხორციელებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის 499 დადგენილება;

- „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ-(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის 623 დადგენილება;

- „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის 510 დადგენილება.

- „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის 585 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის დადგენილება 508;

- „სურსათში მიკროტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის 497 დადგენილება;

- „ტექნიკური რეგლამენტი - „სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის 547 დადგენილება;

2015-2016 წლებში საქართველომ ევროკომისიისგან თაფლის შესახებ მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. შედეგად, 2016 წლის 28 ნოემბერს ევროკომისიამ ცვლილება შეიტანა 2011/163 გადაწყვეტილებაში და საქართველო დაემატა იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც ევროკავშირში თაფლის იმპორტი არის შესაძლებელი.

ასევე, შესრულდა თევზისა და თევზის პროდუქტების შესახებ მიღებული რეკომენდაციები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება შავი ზღვის თევზის (ქაფშია) იმპორტი ევროკავშირში.

კერძო სექტორის ხელშეწყობა

მიმდინარე წელს სსიპ - „სურსათის ეროვნულ სააგენტოსა“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმი ითვალისწინებს ცხოველთა სასაკლაოებისთვის განკუთვნილ ერთობლივ საკონსულტაციო მომსახურებას სურსათის უვნებლობის მართვისა და სტანდარტების (HACCP და ISO22000:2005) დანერგვასთან დაკავშირებით. ბენეფიციარ საწარმოებს ევროპული პრაქტიკის დამკვიდრებისა და უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების საშუალება მიეცათ. პროექტის ფარგლებში 10 საწარმოსთან გაფორმდა ხელშეკრულება ISO 22000, სტანდარტის დანერგვის მიზნით. ხუთმა საწარმომ უკვე წარმატებით გაიარა დასკვნითი აუდიტი, მიიღო ISO 22000 სერტიფიკატი. ორ საწარმოსთან გაფორმებულია ხელშეკრულება საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზის (HACCP) დანერგვის შესახებ. ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოებული პროდუქტის უვნებლობის დონეს, ამავე დროს ბენეფიციარებს მისცემს პროდუქტის ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ბაზრებზე ექსპორტის საშუალებას.

პროგრამების „დანერგე მომავალი“ და „ქართული ჩაი“ ბენეფიციარებს ჩაუტარდათ პირველადი წარმოების სტანდარტის (GLOBAL GAP) სემინარები, ჩატარდა 7 სემინარი (4 გორში, 1-თბილისში, 1-ლაგოდეხში და 1-ზუგდიდში).

კომუნიკაცია

საკანონმდებლო ბაზის განახლებასა და ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანიები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ქართული წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შეტანის მოთხოვნები;

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის შესაბამისი სამომხმარებლო ასპექტები;

- ახლადმიღებული ან შესწორებული კანონმდებლობის გაცნობა მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გამართეს შემდეგი შეხვედრები:

ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტომ“ (APMA) ჩაატარა ტრენინგები სურსათის ეროვნული სა-

აგენტოს საკანონმდებლო მოთხოვნების, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის, სურსათის (თაფლის) ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობების თემებზე (ზუგდიდი და ახალციხე).

2016 წლის 26 აპრილს სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოში“ ჩატარდა „სამოქალაქო დარბაზის“ მორიგი სხდომა. შეხვედრაზე განიხილეს არასამთავრობო სექტორთან და მედიასთან კომუნიკაციის მნიშვნელობა, ამ სფეროში არსებული პრობლემები და გამოწვევები.

2016 წლის 23 აპრილს, ცხოველთა სასაკლაოებში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP-ის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით, სასტუმრო „Holiday INN“-ში, ბიზნეს-ოპერატორებისთვის ტრენინგი ჩატარდა. სასწავლო პროგრამა მიმდინარეობს სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

გრძელდება კერძო სექტორთან თანამშრომლობა, რათა ადვილად შესრულდეს საკანონმდებლო მოთხოვნები. DCFTA-ის ფარგლებში, შემუშავებული ნორმატიული აქტები მათ დამტკიცებამდე იტვირთება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე. თითოეული მათგანი ღიაა საჯარო განხილვისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ ვეტერინარი სპეციალისტები ეტაპობრივად გადიან სამხრეთ კავკასიის საველე ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული სწავლების პროგრამის (FELTP) სრულ კურსს (წელიწადში 1-2 სპეციალისტი).

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტოს“ (APMA) ტრენინგების განყოფილებამ ზუგდიდსა და ახალციხეში კოოპერატივებისთვის 2 ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგებში 100-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ტრენინგზე განიხილეს სურსათის ეროვნული სააგენტოს საკანონმდებლო მოთხოვნები, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის საკითხები, ასევე სურსათის (თაფლის) ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობა. კოოპერატივების განვითარების სააგენტომ მეპაიეებს მიაწოდა ინფორმაცია ახალი პროგრამის შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თანამშრომლები მსმენელებს ესაუბრნენ ფუტკრის მოვლის ჰიგიენურ ნორმებზე, ნარჩენი ნივთიერებების კონტროლსა და ფუტკრის დაავადების მართვის მეთოდებზე. 2016 წლის 6 ივლისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა შეხვედრა რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებსა და იმპორტიორებთან. სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს გააცნეს რძის ტექნიკური რეგლამენტის ნორმა, რომელიც 2016 წლის პირველი აგვისტოდან ამოქმედდა.

2016 წლის 10 ივლისს სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა შეხვედრა საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და რესტორნების ქსელის წარმომადგენლებთან. სააგენტომ ამ სფეროში მომუშავე ბიზნესოპერატორებს გააცნო კანონმდებლობაში ასოცირების შეთანხმებით გამოწვეული მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები.

2016 წლის 23 სექტემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზებით, გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „საქონლის ხორცის მიკვლევადობის მენეჯმენტი“, სადაც მონაწილეებს სურსათის ეტიკეტირების წესებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები გააცნეს.

2016 წლის 8 ოქტომბერს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფერმერებს შეხვდნენ. შეხედრაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების წარმომადგენლებმა ფერმერებს გააცნეს სახელმწიფოს მიერ აგრარული დარგის განვითარებისთვის განხორციელებული პროგრამები, ასევე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვისთვის გატარებული ღონისძიებები.

2016 წლის 29 დეკემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა კვერცხის მწარმოებლებთან. სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს კვერცხის სავალდებულო მარკირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მიაწოდეს.

2016 წლის 23 დეკემბერს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებლებს გააცნეს ახალი რეგულაცია, რომელიც ბაზარზე განთავსებული საქონლის ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას და დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირების წესსს და ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს განსაზღვრავს. რეგულაცია მოქმედებას 2017 წლიდან დაიწყებს.

2016 წლის 8 ნოემბერს გაიმართა სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული „სამოქალაქო დარბაზის“ მე-8 სხდომა. დარბაზის წევრებმა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეალიზაცია-მოხმარებაში, ვეტერინარიასა და სურსათის უვნებლობაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ“ მიიღო მცენარეთათვის მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის საერთაშორისო აკრედიტაცია შემდეგ სფეროებში:

- მიკრობიოლოგია (კარტოფილის ბაქტერიული სიდამპლე, კარტოფილის რგოლური სიდამპლე);
- მიკოლოგია (კარტოფილის კიბო);
- ენტომოლოგია (კოლორადოს კარტოფილის ხოჭო, კარტოფილის ჩრჩილი, პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენაღმე ჩრჩილი);
- ჰელმინთოლოგია (კარტოფილის ცისტიანი ნემატოდა);
- ვირუსოლოგია (ქლიავის ჩოფურა, ციტრუსების ვირუსული დაავადება);
- GMO-ს დადგენა (GMO სკრინინგი, Roundup Ready™ სოიოსა და GMO სიმინდის);
- ჰერბოლოგია (ინვაზიური მცენარეების იდენტიფიკაცია - ავშანფოთლიანი ამბროზია, ინვაზიური მცენარეების იდენტიფიკაცია - ღიღილო მწარა, ინვაზიური მცენარეების იდენტიფიკაცია - ცენხრუსი მეჩხერფოთლიანი);

- სათესლე მასალის გამოცდა (ათასი თესლის წონა, თესლის გერმინაცია და სიძლიერე, თესლის ფიზიკური სიწმინდე).

სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში დაინერგა შემდეგი აკრედიტირებული მიმართულებები:

1.სურსათისა და ცხოველის საკვების მიკრობიოლოგია: ლისრტერია მონოციტეგენესის ენუმერაცია, ენტერობაქტერია საკაზაკის დეტექცია, ვიბრიო parahaemolotycus დეტექცია, ვიბრიო parahaemolotycus დეტექცია, სავარაუდო B. Cereus-ის ენუმერაცია, კოლიფორმების ენუმერაცია, სალმონელა sp. დეტექცია, მიკროორგანიზმების ენუმერაცია - კოლონიების დათვლის ტექნიკა, S.aureus-ის დეტექცია და ენუმერაცია.

2.სურსათისა და წყლის ქიმია: წყალი (მოქმედი ქლორის ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა, მთლიანი სიმკვრივის განსაზღვრა); თაფლი (მჟავიანობის განსაზღვრა, ელექტრო გამტარუნარიანობა, მექანიკური დაბინძურების განსაზღვრა); მცენარეული ზეთი (მჟავიანობის განსაზღვრა); რძე და რძის პროდუქტები (ნატრიუმის ქლორიდის რაოდენობრივი განსაზღვრა, მჟავიანობის განსაზღვრა, სიმკვრივის განსაზღვრა);

3.ხორცპროდუქტები (ნატრიუმის ქლორიდის რაოდენობრივი განსაზღვრა);

4.ფქვილი და მარცვლეული (წებოგვარას რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსაზღვრა); ცხოველის საკვები (სილის შემცველობის იდენტიფიცირება, ნაცრის შემცველობა); სურსათი/ცხოველის საკვები/წყალი (რადიონუკლეიდების Cs-137 აქტივობის განსაზღვრა, რადიონუკლეიდების Sr-90 აქტივობის განსაზღვრა, ტყვია, კადმიუმი); ქლორორგანული პესტიციდების და თაფლში ქლორამფენიკოლის და ტეტრაციკლინის განსაზღვრა.

მიკრობიოლოგიურ კვლევებთან ერთად, სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში დაიწყო კვლევები, რომლებიც სპეციალისტებს მცენარეული წარმოშობის ცხიმში ტრანსიზომერული ცხიმების განსაზღვრის საშუალებას მისცემს.

ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ ფარგლებში ჩატარდა ათზე მეტი ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის შესახებ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CIB პროგრამის ფარგლებში შეძენილია აღჭურვილობა კარწახის, ადლიისა და ფოთის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებისთვის. პროგრამის ფარგლებში მოწვეულმა ექსპერტმა დაათვალიერა ადლიის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის შენობა და წარმოადგინა შესაბამისი რეკომენდაციები. განახლებული გამშვები პუნქტის მშენებლობა სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით იგეგმება.

ევროპელმა ექსპერტმა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი შენობების განსათავსებლად აუცილებელი ადგილის იდენტიფიცირებისთვის დაათვალიერა „წითელი ხიდის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტი და მიმდებარე ტერიტორია, შემდეგ კი შესაბამისი რეკომენდაციები მოამზადა.

CIB პროგრამის მხარდაჭერით შეძენილია სანიტარული, ფიტო-სანიტარული და ვეტერინარული კონტროლის აღჭურვილობა კარწახის, ადლიისა და ფოთის სასაზღვრო საინსპექციო პუნქტებისთვის.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მიერ დამუშავებული სამშენებლო პროექტის შესაბამისად, დაიწყო „წითელი ხიდის“ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის მშენებლობა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის პირველი პლატფორმის, **„დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა'“**, (Democracy, Good Governance and Stability) და საზღვრის ინტეგრირებული მართვის პანელის საპილოტე პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა მოწვეულ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა დადგენილების პროექტი არაცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით. 2016 წლის 23 დეკემბერს კი მიიღეს მთავრობის #567 დადგენილება.

საბაჟო სფერო და ვაჭრობის ხელშეწყობა

ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების გათვალისწინებით, მომზადდა საბაჟო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტის პირველადი ვერსია, რომელიც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულმა საბაჟო ქვეკომიტეტმა განიხილა საბაჟო პროექტის ჯგუფის 29 ნოემბრის შეხვედრაზე. პროექტის საბოლოო ვერსია ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისთვის. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახური აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) სამუშაო ჯგუფთან ერთად მუშაობს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კანონმდებლობის პროექტზე. ცვლილებების პროექტის პირველადი ვერსია უკვე დასრულებულია.

2016 წლის 14 ნოემბერს საქართველოს მთავრობის N507 დადგენილებით, დაინერგა უფლებამოსილი ექსპორტიორის ინსტიტუტი და შესაბამისად, ამოქმედდა ასოცირების შეთანხმების პირველი ოქმით გათვალისწინებული ინსტიტუტი. საქართველოს უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მქონე ექსპორტიორ პირებს უფლება ექნებათ, პროდუქციის წარმოშობის დასადასტურებლად გამოიყენონ არა შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატი EUR1, არამედ მათ მიერვე შედგენილი წარმოშობის დეკლარაცია.

2016 წლის 28 სექტემბერს ბრიუსელში, ევროკომისიაში გაიმართა წარმოშობის შეღავათიანი წესების პან-ევროხმელთაშუა ზღვის რეგიონული კონვენციის კომიტეტის მორიგი სესია. კონვენციის წევრმა ქვეყნებმა (48 ქვეყანა)

სესიაზე ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, გახდეს აღნიშნული კონვენციის წევრი ქვეყანა. კონვენციასთან მიერთების პროცესში ეს ეტაპი უმნიშვნელოვანესია. მიმდინარე ეტაპზე საქართველო კონვენციის სამუშაო ჯგუფში დამკვირვებლის სტატუსითაა მიწვეული. პარალელურად კი გრძელდება კონვენციათან მიერთებისათვის აუცილებელი პროცედურები.

მიმდინარეობს მუშაობა საჰაერო მგზავრებზე წინასწარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის/ მგზავრების პირადი მონაცემების გაცვლის სისტემის დანერგვაზე. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდა სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საზღვარზე წარმოდგენილმა სახელმწიფო უწყებებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებმა. შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია.

მიმდინარეობს მუშაობა „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ (CTC)" და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD)" კონვენციებთან მიერთებისთვის. ამ მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციასთან მიერთების გზამკვლევი, რომელშიც გაიწერა 2015–2018 წლების განმავლობაში განსახორციელებელი ძირითადი საკითხები. გზამკვლევის განახლება ხდება ყოველწლიურად, ჩატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით.

2016 წლის 14–15 სექტემბერს აღმოსავლეთ პარტნიორობის - საზღვრის ინტეგრირებული მართვის შესაძლებლობათა გაზრდის პროექტის (EAP – IBM), ფარგლებში საერთო სატრანზიტო პროცედურების კონვენციასთან მიერთების მიზნით, კიშინოვში (მოლდოვა) გაიმართა მეორე რეგიონული სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე განიხილეს კონვენციასთან მიერთებისა და NCTS პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები.

უკვე დანერგილია თურქეთის რესპუბლიკასთან საბაჟო ინფორმაციის წინასწარი გაცვლის სისტემა. მიმდინარეობს მოლაპარაკება მისი ანალოგის აზერბაიჯანთან ამოქმედების თაობაზე. იდენტური მოლაპარაკება გრძელდება ევროკავშირის ქვეყნებთანაც.

სახელმწიფო შესყიდვები

DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის 536 განკარგულებით, დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი". იგი მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში DCFTA-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების დროში გაწერილ გეგმას. აღნიშნული დოკუმენტი საბოლოო დამტკიცებამდე შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს.

2016 წლის 9 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას განსახილველად წარუდგინა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის პროექტში განსახორციელებელი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების მიღების ძირითადი მიზანია, ასოცირების შესახებ შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითად სტანდარტებთან დაახლოება, რაც გულისხმობს:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპების ასახვას;

2. შემსყიდველი ორგანიზაციების ვალდებულების გაწერას იმისთვის, რომ მოხერხდეს მოთხოვნების არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების საშუალებით ჩამოყალიბება.

ამასთან, სავალდებულოა შესყიდვის მინიმალური ვადების გაზრდა, რაც ტენდერში მონაწილეობის მსურველს სატენდერო პირობების სრულფასოვნად შეფასებისა და სატენდერო წინადადების ჯეროვნად მომზადების შესაძლებლობას მისცემს.

მთავრობამ მოიწონა საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და შემდგომი განხილვისთვის საქართველოს პარლამენტს გადაუგზავნა.

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს" სასწავლო ცენტრში 2016 წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო კურსი ჩაუტარდათ სახელმწიფო დაწესებულებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს.

ძირითადი სასერტიფიკატო კურსის 834 სერტიფიცირებული მსმენელი დაიყო 15 ნაკადად. ასევე მოეწყო: 4 სემინარი გამგებლებისა და შესყიდვების სამსახურების უფროსებისთვის (140 მონაწილე);

- 2 გასვლითი სემინარი ქ. თბილისის მერიისა და მის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების შესყიდვების სპეციალისტებისთვის (120 მონაწილე);
- 1 ნაკადი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის (17 მსმენელი);
- „ტრენინგი ტრენერთათვის" (9 მსმენელი).

შეხვედრებს ჯამში 1120 მსმენელი დაესწრო.

2016 წლის 18 თებერვალს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა შეხვედრა გამართეს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის (თეთრი სია) წარმოების ახალი წესის გაცნობას.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის, ფუნქციების, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებისა და ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაგეგმილი ინოვაციების შესახებ. ხსენე-

ბული ინოვაციები ითვალისწინებს ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციის, შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის დანერგვას, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის სრულყოფას. აღნიშნული სამუშაო გეგმის მომზადებისას იდენტური შინაარსის შეხვედრები გაიმართა:

- 4 აპრილს მცხეთაში - დაესწრო 20 დაინტერესებული პირი;
- 7 აპრილს ოზურგეთში - 50-მდე დამსწრე;
- 8 აპრილს ბათუმში - 50 დამსწრე;
- 15 აპრილს რუსთავში - 40 დამსწრე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ინიციატივით, რეგულარული შეხვედრები იმართება ბიზნეს საზოგადოების წარმომადგენლებთან. პირველი შეხვედრა 2016 წლის 11 მაისს შედგა. მას შემდეგ, დეკემბრის ჩათვლით ჩატარებულია 16 შეხვედრა. შეხვედრების ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და შესაძლო ხარვეზები კონკრეტულ ტენდერებთან დაკავშირებით. შეხვედრები იმართება სექტორების მიხედვით, ჯამში მათ 150-მდე ადამიანი დაესწრო.

2016 წლის 23-24 მაისს ქ. თბილისში, აშშ-ს კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP), აშშ-ს საელჩოს საქართველოში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO), ევროკავშირის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეგიდით, გაიმართა სემინარი თემაზე „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმების ვალდებულებები, მიერთების პროცესი და კომერციული სარგებელი საქართველოსთვის“. შეხვედრას დაესწრნენ ბიზნესსაზოგადოების და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის სახელმწიფო შესყიდვების შეთანხმების ძირითადი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

2016 წლის 29 მაისს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით, შედგა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამუშაო შეხვედრა ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაგეგმილ რეფორმებს, რომლებიც გულისხმობს შესყიდვის ორი ახალი სახეობის - ელექტრონული ტენდერის, რევერსული აუქციონის გარეშე და ორეტაპიანი ტენდერის შემოღებას, რომლებიც სისტემაში 1 ივლისიდან და 1 აგვისტოდან ჩაეშვება.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით, 2016 წლის 12-13 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა საქმიანი შეხვედრები აჭარის რეგიონში მოღვაწე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებსაც 100-მდე დაინტერესებული პირი დაესწრო. შეხვედრების მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში დანერგილი შესყიდვების ახალი მეთოდების გაცნობა.

5 აგვისტოს გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე: “სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - სიახლეები და ცვლილებები” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შემსყიდველი ორგანიზაციების, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ბიზნესგაერთიანებებისა და ასოციაციების წარმომადგენლებს გააცნო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებული სიახლეები. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის ორეტაპიანი ტენდერის შესახებ ინფორმაცია. ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების ახალი ელექტრონული სერვისების, მეთოდებისა და რესურსების პრეზენტაცია. ღონისძიება გაიმართა „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ (EU4Business) ეგიდით მიმდინარე პროექტის: „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოში“ მხარდაჭერით, რომელსაც ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება. (GIZ)

2016 წლის 21 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ გამართა შემაჯამებელი შეხვედრა თემაზე: “სახელმწიფო შესყიდვები - განხორციელებული რეფორმები, სიახლეები და ცვლილებები“. შეხვედრას ესწრებოდნენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ბიზნესგაერთიანებებისა და ასოციაციების წარმომადგენლები, ასევე სხვა დაინტერესებული ბიზნესმენები. შეხვედრა გაიმართა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანაორგანიზატორობით. მას 80 ადამიანი დაესწრო.

ინტელექტუალური საკუთრება

საქპატენტმა მოამზადა საკანონმდებლო ცვლილების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს ცვლილებებს რამდენიმე კანონში, მათ შორის - დიზაინის შესახებ კანონში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და ა.შ. ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დამკვიდრებას.

მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით არაერთი შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან. მომზადებული კანონპროექტები ასევე მიეწოდა სასამართლო ხელისუფლებას შენიშვნებისთვის.

2016 წლის ბოლოს შემუშავდა კანონის პროექტების ბოლო ვერსიები. კანონის პროექტები წარედგინება საქართველოს პარლამენტს 2017 წლის პირველ კვარტალში.

რაც შეეხება საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, საბაჟო აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების მიზნით, შემოსავლების სამსახურში შედგა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი საბაჟო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტების მონაწილეობით. აღნიშნულმა

ჯგუფმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ამჟამად შიდაუწყებრივი განხილვის საგანია.

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციასთან (No608/2013) შედარებითი ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ის ძირითადი განსხვავებები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას DCFTA-ის ვალდებულებების ფარგლებში. შესაბამისი ცვლილებების საქართველოს კანონში შეტანის პარალელურად შემუშავდება საბაჟო აღსრულებასთან დაკავშირებული ოპერატიული პროცედურები.

2016 წლის 27-28 ოქტომბერს საქპატენტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია „ბრენდინგის სტრატეგიები“, რომლის ფარგლებშიც ქართველი მეწარმეები და ფერმერები გაეცნენ გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის უპირატესობებს, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

საქპატენტში აქტიურად გრძელდება მოსამართლეებისა და ადვოკატებისთვის განკუთვნილი ტრენინგები ინტელექტუალურ საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ღონისძიებები მიმართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ. საქპატენტთან არსებულ სასწავლო ცენტრში გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა როგორც საქპატენტის, ისე საჯარო და კერძო სექტორის დაახლოებით 110-მა წარმომადგენელმა.

ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ისმო-ს პუბლიკაციები. საქპატენტმა 2016 წელს დაბეჭდა და გამოსცა საინფორმაციო ხასიათის მასალა, 19 500-იანი ტირაჟით.

კონკურენცია

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ორგანიზებითა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროექტის (TAIEX) დაფინანსებით, 2016 წლის 25-26 თებერვალს გაიმართა ორდღიანი კონფერენცია თემაზე: „კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობა“. კონფერენციას ესწრებოდა ევროკავშირის, დარგობრივი მარეგულირებლების, სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების, საქართველოს პარლამენტის, ბიზნესსექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 60-მდე წარმომადგენელი.

ამავე პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 7-8 ივლისს, ევროკავშირის ქვეყნების ექსპერტების მონაწილეობითა და კონკურენციის სააგენტოს თანაორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო სემინარი თემაზე - „სახელმწიფო დახმარება DCFTA-ის კონტექსტში“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს უკრაინისა და მოლდოვის კონკურენციის ორგანოების წარმომადგენლებმა.

2016 წლის 29 იანვარს კონკურენციის სააგენტომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა თემაზე - „კონკურენციის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“.

2016 წლის 5 ოქტომბერს სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს და გააცნეს, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, ასევე სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობა და სამომავლო გეგმები. მსგავსი ფორმატის შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 18 ნოემბერსაც დარგის ექსპერტებსა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ექსპერტების მოსაზრებები.

კონკურენციის სააგენტოს განვითარებისა და ადვოკატირების მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ასევე დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს ეგიდით, 2016 წლის განმავლობაში გაიმართა კონკურენციის ადვოკატირების 2 სემინარი.

პირველი სემინარი 2016 წლის 20 ოქტომბერს გაიმართა და მას თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს 20-მდე მოსამართლე დაესწრო.

მეორე სემინარი, ბიზნესსექტორისა და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენელთათვის 2016 წლის 9 დეკემბერს გაიმართა. სემინარზე საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად განიხილეს კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების საკითხები.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაფინანსებით ჩატარდა კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები სამ ეტაპად:

1. 21-29 სექტემბერს

2. 19-20 ოქტომბერს

3. 8 დეკემბერს

სასემინარო სესიების განმავლობაში მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეულმა პროფესორებმა ჩაატარეს ლექციები კონკურენციის სამართლისა და ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ჯამში, ტრენინგი გაიარა სააგენტოს 17-მა თანამშრომელმა.

წლის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბუდაპეშტის რეგიონული ოფისის (RCC OECD-GVH) ეგიდითა და დაფინანსებით განხორციელებულ ოთხ ღონისძიებაში, რომლებიც უნგრეთსა და სერბეთში გაიმართა. ისინი ასევე დაესწრნენ 2016 წლის 1-2 დეკემბერს პარიზში ორგანიზებულ OECD-ის მე-15 გლობალურ ფორუმს.

სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სოფიას კონკურენციის ფორუმის 2 კონფერენციაში:

1. 10 ივნისს, თემაზე „ანტიმონოპოლიური ღონისძიებების და შერწყმის დროს კონკურენციის ორგანოების მიერ გამოყენებული შემაკავებელი ზომები“;

2. 11 ნოემბერს, თემაზე „რეგულირებულ ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხები“.

კონკურენციის სააგენტო ასევე წარმოდგენილი იყო:

საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) წლიურ კონფერენციაზე (2016 წლის 26-29 აპრილი, სინგაპური);

- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) 64-ე შეხვედრაზე (2016 წლის 6–8 აპრილი, ვაშინგტონში);

- ლიტვისა და თურქეთის კონკურენციის ორგანოების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებზე (2016 წლის მაისი).

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 დეკემბრის N199 ბრძანებით, „სსიპ კონკურენციის სააგენტოს 2016-2018 წლების ტრენინგების გეგმის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, 2016 წელს ჩატარდა ტრენინგები შემდეგ სფეროებში:

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - კოლექტიური დომინირება;

- პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები კარტელის შემთხვევებში - მოკვლევის ევროპული პრაქტიკა;

- კონკურენციის სააგენტოსა და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობა.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 50 თანამშრომელმა.

ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2016 წლის 22 აპრილის დადგენილებით, ცვლილებები შევიდა „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2014 წლის 17 აპრილის 10 დადგენილებაში. კომისიამ დაამტკიცა გამანაწილებელი ქსელის წესები.

სემეკმა 2016 წლის 27 დეკემბერს მიიღო „ელექტროენერგეტიკის სექტორში ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის დამტკიცების შესახებ“ N43 დადგენილება.

შემუშავდა ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობის წესების პროექტი. აღნიშნული წესები მიზნად ისახავს ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, 2016 წლის 8 დეკემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მომსახურების ხარისხისა და მიწოდების საიმედოობის წესების დასამტკიცებლად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 25 ივლისის დადგენილებით, დამტკიცდა „კომერციული მომსახურების წესები“, რომლის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკულ, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საწარმოს მიერ მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება.

შემუშავდა ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობების პროექტი. მისი შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულება „ქსელის წესებიდან“ გამომდინარეობს.

2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობების დასამტკიცებლად.

გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 10 თებერვალი, ხოლო „გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ“ კომისიის გადაწყვეტილების გამოცემის ბოლო ვადაა 2017 წლის მარტი.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) ფარგლებში ჩატარდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელის სიმულაციების მე-2 ეტაპი, რომლის შედეგად განხორციელდა სიმულაციის შედეგების ანალიზი, მოხდა გამოწვევების იდენტიფიცირება საათობრივ და ლიბერალურ ბაზარზე გადასვლის მიზნით.

შემუშავდა ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ათწლიანი (2016-2025 წლები) გეგმა და მისი განახლებული რედაქცია (2017-2026 წლები). გეგმა მოიცავს ინფრასტრუქტურული პროექტების დროის მიხედვით განაწილებულ პროგრამას, მათ შორის 2016-2017 წლების დაფინანსებით უზრუნველყოფილ და 2018-2019 წლების გარდამავალი პერიოდის პროექტებს, რომელთა დაფინანსებაზე მიღებულია მხოლოდ წინასწარი გადაწყვეტილება; გეგმა ასევე მოიცავს საშუალოვადიანი (2020-2022 წლები) პერიოდის იდენტიფიცირებულ და გრძელვადიანი (2022 წლის შემდგომ პერიოდის) პერიოდის პერსპექტიულ პროექტებს, რომელთა დაფინანსების საკითხები გადაწყდება მათი რეალიზაციის საჭიროებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინფრასტუქტურის განვითარების ათწლიანი გეგმის მიზნებია:

- გარანტირებულად მოამარაგოს მომხმარებელი ბუნებრივი გაზით როგორც დღეს, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში;

- ქვეყნის შიდა სატრანსპორტო, ტრანსსასაზღვრო და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარებისა და სტაბილური ფუნქციონირების მეშვეობით, ხელი შეუწყოს ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის ფორმირებას ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის საფუძველზე.

გეგმა განხილულია ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედ კომპანიებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. იგი შეთანხმებულია ენერგეტიკის სამინისტროსთან, დამტკიცებულია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დირექტორთა საბჭოს მიერ და შეტანილია საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიაში, რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

DCFTA-ისა და მიწოდების უსაფრთხოების შესახებ რეგულაციების მიხედვით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც

იმუშავებს შემდეგ საკითხებზე:

- რისკების შეფასების შესახებ დოკუმენტის მომზადება;
- კრიზისების პრევენციული და საგანგებო სიტუაციების გეგმის დოკუმენტი;
- ადრეული გაფრთხილების მექანიზმი.
- ჯგუფი, ასევე, იმუშავებს საგანგებო სიტუაციებში მუშაობის კოორდინირებული ინსტრუქციის შემუშავებაზე გადამცემი ქსელის ოპერატორებთან.

შეძენილი და დანერგილია განახლებული პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გაუმჯობესებას. ამასთან, გამარტივდა აუქციონში მონაწილეობის პროცედურები.

გამჭვირვალობა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით შექმნა DCFTA-ის ვებ-გვერდი - www.dcfta.gov.ge რომელზეც განთავსებულია DCFTA-სთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ბიზნესისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის, არსებული შესაძლებლობების, შეთანხმების განხორციელების კოორდინაციის და სხვა საკითხების შესახებ. პორტალზე ასევე მოცემული იქნება ინფორმაცია DCFTA-ის ფარგლებში მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესახებ. ვებ-გვერდზე ასევე ინტეგრირებულია სპეციალური ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია DCFTA-ის ფარგლებში შემუშავებული კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტზე კომენტარების გაკეთება.

2016 წლის მარტის თვეში მეწარმეობის განვითარების საგენტოსთან თანამშრომლობით საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სემინარები გამართეს სხვადასხვა კომპანიების ექსპორტის მენეჯერებისთვის DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2016 წლის 6 ივლისს ახალციხეში, 10 აგვისტოს კი მარნეულში ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ორგანიზებით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში“ ფარგლებში მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის დისკუსიები მოეწყო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების, ბოლო ორ წელიწადში საქართველოს მიერ ევროკავშირისკენ გადადგმულ ნაბიჯებისა და DCFTA-ის შესახებ.

2016 წლის 27 სექტემბერს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ევროკავშირის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშემწყობი პროექტის დაფინანსებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში DCFTA-ის საკითხზე ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ ბიზნესასოციაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ევროკავშირის დელეგაცია და საქართველოს მთავრობის წევრები. მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრემიერ- მინისტრმა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა. მომავალში მსგავსი შეხვედრები დაგეგმილია როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, რათა კიდევ უფრო მეტი მეწარმისთვის მოხდეს ინფორმაციის მიწოდება DCFTA-ის და მისი სარგებლის შესახებ.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 2016 წლის 14 ნოემბერს წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშემწყობი პროექტის ერთობლივი ძალისხმევით, გაიმართა მორიგი შეხვედრა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან, DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების დანერგვის თემაზე, მრგვალი მაგიდის ფორმატში. შეხვედრაზე საქართველოს მთავრობის, ბიზნეს სექტორის და ევროკავშირთან ასოცირების მხარდამჭერი პროგრამის წარმომადგენლებმა იმსჯელეს კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის მნიშვნელობაზე DCFTA-ის განხორციელების პროცესში. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს ინიციატივით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით 2016 წლის 12-13 ნოემბერს, კახეთში DCFTA-ის თემაზე გაიმართა ორდღიანი სემინარი ჟურნალისტებისთვის. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური პროფილის საკითხებზე მომუშავე ოცამდე ჟურნალისტმა ქვეყნის წამყვანი ტელევიზიებიდან, ასევე რადიოდან და პრესიდან.

2016 წლის 6 დეკემბერს GIZ-ის პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ მიერ განხორციელებული ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში მოეწყო საჯარო დისკუსია თემაზე: „საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ - პროფესიული უნარები DCFTA-ს კონტექსტში“. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის საჭიროებების შესახებ ცნობიერების გაზრდა, კერძოდ, ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა (AA) და მისი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) განხორციელების კონტექსტში. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა საქართველოში DCFTA-ის განხორციელების პროცესზე ისაუბრა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო, ბიზნეს-წრეებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო ცენტრთან. თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს DCFTA-ის შესახებ ლექცია-სემინარების ჩატარება და ცნობიერების ამაღლება. თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ლექციები წაიკითხეს საერთაშორისო ვაჭრობასა

და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ; ეკონომიკური ინტეგრაციის მოდელებზე; ევროკავშირი საქართველოს ასოცირების შეთანხმებაზე; DCFTA-ის პრაქტიკულ გამოყენებაზე; ვაჭრობაში არსებულ ტექნიკურ ბარიერებზე.

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შრომის ინსპექტორებმა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ცნობიერების ასამაღლებლად ბათუმში ჩაატარეს ტრენინგი შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლები 2016 წლის ნოემბრის თვეში კერძო სექტორის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებს შეხვდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა მონაწილეთათვის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გაცნობას.

2016 წლის 12 დეკემბერს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც საქართველოს სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს წარუდგინეს დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიში. სხდომაზე ასევე გაიმართა დისკუსია შრომის უსაფრთხოების შესახებ.

ტყის ახალი კოდექსის კანონპროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა კომისია, რომელიც დაკომპლექტდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სამინისტროს სსიპ-ების, თბილისის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებისგან. კომისიის 10 სხდომის შედეგად შემუშავდა დოკუმენტის სრული ვერსია. ტყის კოდექსის კანონპროექტის საჯარო განხილვისას გაიმართა შეხვედრები საქართველოს ყველა რეგიონში. კოდექსის პრეზენტაცია შედგა საქართველოს პარლამენტშიც. შემუშავდა ტყით სარგებლობის, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენის, ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის შესახებ კანონქვემდებარე აქტების სამუშაო ვერსიები.

საერთაშორისო ექსპერტმა შეიმუშავა „ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“ დოკუმენტის საბოლოო ვერსია. მიმდინარეობს დოკუმენტის ცალკეული კომპონენტების ასახვა ეროვნულ სატყეო კანონმდებლობაში. შემუშავდა კონტროლირებადი მერქნული რესურსების რისკის შეფასების სტანდარტის დოკუმენტი, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნა ტყის სამეურვეო საბჭოს (FSC). დოკუმენტი განხილვის პროცესშია.

ევროკომისიამ დაამტკიცა Twinning-ის პროექტი ახალი სახელწოდებით „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“. შეირჩა Twinning-ის განმახორციელებელი ქვეყნები (ლიტვა-უნგრეთის კონსორციუმი). მიმდინარეობს კონტრაქტის გაფორმების პროცესი. პროექტის დაწყება დაგეგმილია 2017 წლის ივნისში.

შემუშავდა ხე-ტყის ეკონომიკური ანალიზის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომლის რეკომენდაციები აისახება შემუშავების პროცესში მყოფ სატყეო რეფორმის სტრატეგიასა და გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამაში.

გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე კონვენციის (CITES) დანართებში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასდა შერჩეულ მცენარეთა სახეობები და მომზადდა შეფასების ანგარიში. საქართველომ და ევროკავშირმა CITES-ის მხარეთა მე-17 კონფერენციაზე ერთობლივად წარადგინეს დოკუმენტი ჯიხვის სახეობების CITES-ის მეორე დანართში შეტანის მიზნით. საქართველოს დელეგაციამ აქტიურად ითანამშრომლა ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების დელეგაციებთან CITES-ის მხარეთა მე-17 კონფერენციაზე.

საქართველომ მონაწილეობა მიიღო ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (CBD) მხარეთა მე-13 კონფერენციის მოსამზადებელ შეხვედრებში, რომლებიც ორგანიზებული იყო კონვენციის სამდივნოსა და ნორვეგიის მთავრობის მიერ და ეხებოდა სოფლის მეურნეობის სფეროში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრაციას.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ დაფინანსებული პროექტის (Global Forest Watch) ფარგლებში შემუშავდა სატყეო მონიტორინგის სისტემის სატესტო ვერსია. დამუშავებული და სისტემაში ასახულია ტყის რესურსებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია.

2016 წლის იანვრიდან ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა თემატური საკითხების განსახილველად გაიმართა 80 სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო, არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის 696 განკარგულების თანახმად, შავ ზღვაში ნაპირიდან 300 მეტრის დაშორებით თევზჭერისთვის გაცემულ ლიცენზიებს გაუგრძელდა მოქმედების ვადა და დაუდგინდა განსხვავებული სალიცენზიო პირობები, რომელთა შორისაა შემდეგი ვალდებულება: ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი არიან, არაუგვიანეს 2017 წლის პირველი ოქტომბრისა, კონტროლისთვის გემზე დაამონტაჟონ ელექტრონული მონიტორინგის სისტემა და აწარმოონ თევზჭერის ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით. თევზჭერის თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სამსახურმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დახმარებით, მოამზადა ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების ანალიზი ამავე სფეროში. განიხილება გეგმის მოსამზადებლად „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ შედეგების გამოყენების შესაძლებლობა. შემუშავდა სამოქმედო გეგმის - „კლიმატი 2021-2030” გზამკვლევის სამუშაო ვერსია.

დაიგეგმა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების მართვის სექტორებისთვის. შე-

მარბილებელი ღონისძიებები დაეხმარება საქართველოს INDC-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და სათბური გაზების ემისიების შემცირებაში „ტრადიციული ბიზნესის“ სცენარის მიხედვით.

მომსახურებით ვაჭრობა

DCFTA-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად შესწავლილი და დამუშავებულია ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის დირექტივა (2000/31/EC) და ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა. მათზე დაყრდნობით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) დახმარებით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“. კანონპროექტი განსახილველად გადაეცა საჯარო უწყებებს, მიღებული შენიშვნები დამუშავდა და სამუშაოები ჩატარდა კანონპროექტის დახვეწის მიზნით. სექტემბერში კერძო და საჯარო სექტორთან გაიმართა კანონის პროექტის პრეზენტაცია, რომელზეც ის დეტალურად განიხილეს. მომზადდა კანონპროექტის ინგლისური ვერსია და კომენტარებისთვის გადაეგზავნათ ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტებს.

მიმდინარე ეტაპზე იწყება ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 97/7/EC – „მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ კონტრაქტებთან მიმართებით“ ანალიზი და მისი დებულებების გადმოტანა. „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტში აღნიშნულ დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვალდებულება აღებულია ასოცირების შეთანხმებით, ამასთან იწყება თანმდევ კანონპროექტებზე მუშაობა, რის შემდეგაც სრული პაკეტი დადგენილი წესით გადაეცემა საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისმა სამუშაო ჯგუფებმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ექსპერტებმა მოამზადეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტების პირველადი ვერსიები, პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციებისა და ავტორიზაციის შესახებ დირექტივებთან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის დაახლოების მიზნით. ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაშვების დირექტივაზე და ჩარჩო-დირექტივაზე მომუშავე ჯგუფებმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ექსპერტებთან ერთად მოამზადეს ქართული კანონმდებლობასა და შესაბამის დირექტივებს შორის შეუსაბამობის ანგარიშები.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საგრანტო პროგრამის დახმარების ფარგლებში, დასრულებულია ფოსტის კანონის პროექტის მოდიფიკაცია-დახვეწის ძირითადი ეტაპი. ასევე მიმდინარეობს თანმდევ კანონპროექტებზე მუშაობა, რის შემდეგ სრული პაკეტი განსახილველად დადგენილი წესით გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.